№ 46 მთავრობისთვის ორგანო

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

ფასი 2 მან. პარასკევი, 27 თებერვალი 1920 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი [illegible] 1 [illegible] 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. გან- [illegible] პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 [illegible] ცხადდება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. [illegible] გამ. [illegible] ფინები. რედაქციის კანტორის მისა- [illegible] № 6. ტელეფონის 1—82.

სახელმწიფო თეატრი — იჯარა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

პარასკევს, თებერვალის 26 სპექტაკლი GALLA მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ I. ფრა-დიაველო. II. ბალეტი, სხვა და სხვა ერთა ცეკვა. III. ტრუპის მონაწილეობით დიდი საკონცერტო განყოფილება.

შაბათს, თებერვლის 28-ს ოპერა მუშებისათვის „სევილიელი დალაქი". კვირას, თებერვლის 29 საბინინის ბენეფისი „ჰოფმანის ზღაპრები". ორშაბათს, მარტის 1, ნინო კოშიცის მონაწილეობით „ფრიის ქალი". სამშაბათს, ინაშვილის ბენეფისი „ტაისი". ოთხშაბათს, მარტის 3, მგოსნის გალაკტიონ ტაბიძის საღამო. 1. ქართველ მგოსანთა მოხსენებები. 2. „ლეკო", 3. ბალეტი. 245

## დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო საპარლამენტო კომისია

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები აფხაზეთსა (სოხუმის ოლქში) და რესპუბლიკის იმ ადგილებში, სადაც რაიმე მიზეზის გამო წინა არჩევნები არ მომხდარა ან გაუქმებულია, დანიშნულია ამა წლის მარტის თვის 27-ს, 28-ს და 29-სა.

დამფუძნებელ კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომ. პრეზიდიუმი

ოფიციალური განყოფილება.

## განკარგულებანი

### შინაგან საქმეთა მინისტრისა.

12 თებერვალი, 1920 წ. № 16.

**ინიშნება:** საქართველოს რესპუბლიკის მივლინებულ ექიმ-ვეტერინარით, ექიმი ვეტერინარი თევდორე ცინცაძე 12 თებერვლიდან ამა წლისა და იგზავნება საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველათ იმიერ საქართველოში.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი **ქიქინაძე.**

—

### ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამართველოსი.

№ 9.

**გამწესებულნი არიან** ყოფილი მოხელეები: მარიამ ბეგიევისა, ალექსანდრა ჩეპოვსკოისა და მოქალაქენი ვალენტინა ჩეპოვსკოისა და ვალენტინა დემენტიევისა მოხელეებათ ტფილისის ტელეფონის ქსელზედ: ალექსანდრა ჩეპოვსკოისა მეხუთე ხარისხით, ბეგიევისა ვალ. ჩეპოვსკოისა, ვალ. დემენტიევისა მეექვსე ხარისხებით. ყოფილი მექანიკოსი გიორგი, შუსტოვი უფროს მექანიკოსად იმავე ქსელზედ, ყოფილი ზედამხედველი მიხეილ კოზლოვი ზედამხედველად იმავე ქსელზედ მაღალი ჯამაგირით; ყოფილი ფოსტალიონები: ალექსანდრე ხატიაშვილი, გრიგოლ ბუაძე და თეოფანე კაზურზანია ხელ ახლად ფოსტალიონებათ: ხატიაშვილი მარანში, კაზურზანია ზესტაფონში და ბუაძე წნორის წყალზედ სამივე 480 მან. ჯამაგირით წელიწადში და სიძვირის გამო მეორე კატეგორიის მიმატების მიცემით. ხატიაშვილი, ბუაძე და კაზურზანია 16 თებერვლიდან, დანარჩენნი ექვსნი 1 თებერვლიდან 1920 წლისა.

**გადაყვანილნი არიან:** ზესტაფონის კანტორის ფოსტალიონი აქსენტი სამელია, წნორის წყლის რაჟდენ აბრამიშვილი და სოხუმის კანტორის მოხელე ივანე აბრამიშვილი იმავე წოდებებით: სამელია ჩხარში, აბრამიშვილი თიონეთში, ივანე აბრამიშვილი ახალციხეში, უკანასკნელი 12 თებერვლიდან და რაჟდენ აბრამიშვილი და სამელია 16 თებერვლიდან თანახმად თხოვნისა.

**დათხოვნილნი არიან სამსახურიდან:** გუდაუთის მეოთხე ხარისხის მოხელე ზოსიმე ბენია და ტფილისის ცენტრალური ტელეგრაფის მეხუთე ხარისხის მოხელე ბარბარე ჯორჯაძე და ფოსტალიონები: ტფილისის ფოსტის კანტორისა სარქის ჩობანიანცი და თიონეთის მოხელე ხატიევი თანახმად თხოვნისა: ბენია და ჩობანიანცი 14 თებერვლიდან, ჯორჯაძე და ხატიევი 11 თებერვლიდან ხოლო ბენია სამოქალაქო სამსახურში გადასვლის გამო.

**ამორიცხულია მოსამსახურეთა სიიდან** ქუთაისის ფოსტალიონი ექვთიმე ვეკუა ოთხი თვის განმავლობაში სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

## არა ოფიციალური განყოფილება

## მთავრობაში

### 17 თებერვლის სხდომა.

[illegible] დგილე ივ. გეგეჭკორი; მინისტრები ბ-ნნი ხომერიკი, არსენიძე, ერაძე, სახელმწიფო კონტროლიორი ბ-ნი გოგიჩაიშვილი; მინისტრთა ამხანაგები ბ-ნნი ალანია, ქარცივაძე, ნ. ქიქინაძე, ბახტაძე, ცინცაძე, ქავთარაძე, ჩიქოვანი, დეპარტამენტის დირექტორები ბ-ნნი ქიქინაძე, გ. ჟორდანია; საქმეთა მმართველი ქ. ჯაფარიძე. მდივანი დ. ლომთაძე.

**რაჭა-ლეჩხუმის სასამართლო ოლქი.**

რაჭა ლეჩხუმის სასამართლო ოლქი დროებით, ვიდრე ადგილობრივ მოეწყობოდეს მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა, მიწერილ იქმნას ქუთაისის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაზე.

**დანიშვნა.**

ნაფიც ვექილის თანაშემწე იოსებ დავითის ძე ციციშვილი დაინიშნოს ტფილისის საგანგებო სასამართლოს წევრათ.

**მესხეთ-ჯავახეთის სამომრიგებლო ინსტიტუტი.**

წარმოდგენილი დეკრეტი მესხეთ-ჯავახეთის და არტაანის რაიონში სამომრიგებლო ინსტიტუტის შემოღებისა შტატებითურთ მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

აღნიშნულ შტატებზე გავრცელდეს თებერვლის მომატება.

**სამხედრო სასამართლო.**

მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას დეკრეტი სამხედრო სასამართლოს და საპროკურორო ზედამხედველების შტატის დამტკიცებისა. აღნიშნულ შტატებზე გავრცელდეს თებერვლის მომატება.

იუსტიციის მინისტრმა წარმოადგინოს პროექტი სამხედრო სასამართლოს საერთო სასამართლოსთან გაერთიანების შესახებ.

**მოქმედ კანონების გადასინჯვა.**

მოქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის დაარსების დეკრეტის, წარმოდგენილ შტატებში სტამბის ხარჯებისთვის ნავარაუდევი თანხა 4000.000 მან. შემცირდეს 200.000 მანმდე; ინვენტარის, საწერ მანქანის და ბიბლიოთეკის შესაძენათ გამოთხოვილი თანხა (200000 მ.) დარჩეს უცვლელათ. ამ სახით დეკრეტი შტატებით გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**სწავლის გარეშე განათლება.**

განათლების მინისტრის [illegible] გარეშე სწავლის შესახებ მიღებულ იქმნას და ამ საქმის საჭიროებისათვის გადაიდოს 2 მილიონი მან. სათანადო დეკრეტი განათლების მინისტრმა წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას.

**რკინის გზის მოსამსახურეთა დღიურები.**

გზათა უწყების მიერ წარმოდგენილი პროექტი დეკრეტისა გზათა უწყების მოსამსახურეთა დღიური ფულის მომატების შესახებ მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

ბათომ ნატანების უბანში მყოფ მოსამსახურეთათვის, რომელნიც ადგილობრივ ემსახურებიან, აგრეთვე მათი მოვალეობაში წარგზავნის საჭიროებისათვის ნორმის განსასაზღვრავათ მიჩნეულ იქმნას ნორმა „უბნის გარეშე", ხოლო მოსამსახურეების ხელოსნებისა და მუშებისთვის სად. ალსტაფაში, სადაც ცხოვრება შედარებით იაფია, მუდმივ სამსახურის დროს აღიარებულ იქმნას ნორმა „უბანში", მივლინების დროს კი „უბნის" გარეშე.

## მთავრობის განცხადება.

გარეშე პირობებმა საქართველოს სხეულს დროებით მოსწყვიტა მისი ორგანიული ნაწილი—ბათომის ოლქი.

საქართველოს მთავრობა სრულიად დარწმუნებულია, რომ ეს უსამართლობა დაძლეული იქნება და [illegible] მისი ოლქი—ისტორიულად, ეთნოგრაფიულად და ეკონომიურად საქართველოსთან შეხეულებული, კვლავ დაუბრუნდება თავის დედა-სამშობლოს, როგორც მისი ავტონომიური ნაწილი.

მაგრამ სანამ ეს გარდაუვალი ნებისყოფა, როგორც თვით ბათომის ოლქის, ისე მთელი რესპუბლიკის ხალხისა, ასრულდებოდეს. ოლქში თავისუფლათ მოთარეშე საქართველოს მტრები სარგებლობენ დღევანდელი გამოურკვეველი მდგომარეობით და ხალხში ავრცელებენ ათასნაირ ჭორებს. ეწევიან აგიტაციას ქართველების და საქართველოს წინააღმდეგ და ჰქმნიან პანიკას.

მთავრობას აქვს უტყუარი ცნობები, რომ ოლქის საზღვრებთან და თვით ოლქში დაძრწიან შეიარაღებული ბრბოები და პირები და ხალხს აქეზებენ საქართველოს წინააღმდეგ.

საქართველოს მთავრობა გადაჭრით აცხადებს, რომ იგი შევა ბათომის ოლქში არა მტრული განზრახვით ვისიმე მიმართ, არამედ თანახმად ხალხის მტკიცე სურვილისა, სრულის სიმშვიდის და წესიერების დასამყარებლად და ერთნაირის მზრუნველობით და სამართლიანობით დაიცავს მშვიდობიან მცხოვრებთა ინტერესებს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

საქართველოს მთავრობა მიიღებს ყველა ზომებს, რათა ოლქის ცხოვრება მოაწყოს ისეთ ნიადაგზე, რომელიც უზრუნველყოფს მის თავისუფალ კულტურულ და ეკონომიურ აყვავებას. ამ გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობას ვერ შეაცვლევინებს ვერავითარი ძალ-ღონე.

საქართველოს მთავრობა მოუწოდებს ბათომის და ბათომის ოლქის მშვიდობიან მცხოვრებთ არ აჰყვენ ანარქიას და არეულობის მქადაგებელთ და თავიდან მოიცილონ შეიარაღებული ბრბოები.

## დამფუძნებელი კრება

### 24 თებერვლის სხდომა.

(დასასრული)

**თავმჯდომარე**—მოვისმინეთ რა მოხსენება კომისიისა იმ უბედურების შესახებ, რომელიც თავს დაატყდა გორს, გთხოვთ პატივი სცეთ იქ დახოცილთ ფეხზე ადგომით (დეპუტატები ფეხზე დგებიან).

**თავმჯდომარე**—სიტყვა ეკუთვნის არსენიძეს.

**რ. არსენიძის სიტყვა.**

მოქალაქენო! დამფუძნებელი კრების წევრნო! მოვიღეთ თუ არა ცნობა გორში ასეთი საშინელი უბედურების დატრიალებისა, ერთერთი მთავრობის წევრი შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ქიქინაძე იმავე საათში გაემგზავრა ადგილობრივ ამ ცნობების შესაკრებად, და უკვე პარასკევს, ოც თებერვალს, საღამოს გვქონდა მიღებული დეპეშა იმ საშინელების შესახებ, რომელიც დატრიალდა გორში და მის ახლო-მახლო სოფლებში. შესდგა საგანგებო სხდომა მთავრობისა, რომელმაც აირჩია კომიტეტი დაზარალებულთა დასახმარებლად. და ამ კომიტეტის თავმჯდომარეობა დავალებული ჰქონდა და დღესაც მაქვს მე. და რაკი ეს დავალება მივიღე იმავე წუთს შევუდექ ამ კომიტეტის შედგენას, იმ სამინისტროების წარმომადგენელთაგან, რომელთა დახმარებაც ამ შემთხვევაში აუცილებელი იყო და იმ უმთავრეს საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან, რომელნი არიან სამინისტრო მომარაგებისა, გზათა სამინისტროს სანიტარული განყოფილება, ქალაქთა კავშირი და ერობათა კავშირი. ყველა ამ წარმომადგენელთაგან შესდგება კომიტეტი დაზარალებულთა დასახმარებლად.

პირველი ნაბიჯი, რომელიც ამ კომიტეტმა გადადგა, შეიკრიბა და მოიყარა თავი თუ არა, იყო ის, რომ გადაეწყვიტა მთელი რიგი საკითხებისა დახმარების შესახებ. და გადასწყვიტა ასე: ჩვენ ვფიქრობთ, რომ უპირველეს ყოვლისა ხალხს ესაჭიროება საკვები, სურსათი და ევაკუაციის მოწყობა. დანარჩენი საკითხები უნდა ადგილობრივ ყოფილიყო გამორკვეული და მოწესრიგებული. ამისთვის საჭიროდ დავინახეთ გაგზავნა, როგორც ტეხნიკური, ისე საექიმო ძალებისა და საგანგებო რწმუნებულისა. გორში ასეთ რწმუნებულად დანიშნულ იქნა ექიმი ზანდუკელი და მეც მასთან ერთად იმავე დღეს გავემგზავრე გორში. ის პირველი სურათი, რომელიც ვნახეთ, უკვე აგიწერათ წინანდელმა ორატორმა და მე ამის გაწმეორებას არ შევუდგები და არც მინდა ეს საშინელი და პირდაპირ შემაძრწუნებელი სურათი გადავშალო თქვენს თვალწინ. მხოლოდ შემიძლიან ვსთქვა, რომ მთელს გორში, ტეხნიკური კომისიის დათვალიერების შემდეგ, ჩვენ გავბედავდით გვეთქვა მხოლოდ ოთხი ბინის შესახებ, რომ ძალიან თამამ კაცს შეუძლიან იქ ღამე გაათიოს. მხოლოდ 50 ბინიდან მივეცით ნებართვა ბაბაკისა და ქონების გამოტანისა. ხოლო დანარჩენ ადგილებში ასეთ ნებართვას ვერ ვაძლევდით. და თუ შედიოდენ ქურდულად და ნაპარევად რომ იქიდან გამოეტანათ თავისი ბაბაკი, ნივთები, ჩვენ იძულებულნი ვართ მათ შევებრძოლოთ. ზოგიერთ ქუჩებში ისე დაზნექილები სახლები, რომ იქ გავლაც აკრძალულია ვინაიდან მოსალოდნელია, რომ სახლი ჩამოწვეს და მიმავალ მგზავრებს ქვეშ მოიტანს, გარდა იმ მიცვალებულებისა, რომელნიც უკვე ამოღებულნი არიან დღევანდლამდე, არის კიდევ რამდენიმე ადგილი, სადაც ჩვენ გვიჩვენეს, რომ იქ არიან ქვეშ მოტანებულნი. იქ მუშაობა უკვე დაიწყო. ჯერ მუშაობა არ იყო დამთავრებული და ამიტომ არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რამდენი მსხვერპლი აღმოჩნდება.

მეორე დღესვე დაიწყო დენა სოფლებიდან, უმთავრესად თემის წარმომადგენლებისა, რო-

შელნიც თხოულობდენ დახმარებას. მათი მოსვლა უმთავრესად იმით აიხსნება, რომ გორიდან ხალხი გავიდა და ყოველგან გაიტანა ცნობები, რომ გორში უკვე ჩამოვიდა მთავრობის წარმომადგენელი და დახმარებას იძლევა.

კვირას ჩვენ მოგვივიდა 25 სოფლის წარმომადგენელი, გუშინ 23 თებერვალს ერთი ამდენი კიდევ დაემატა მათ, უმთავრესად ატენის ხეობიდან, სადაც უმეტესი ნაწილი სოფლებისა დაზარალებულა. საერთო რიცხვი დაზარალებულ სოფლებისა არის 50. ამ სოფლების რაიონი იწყება აქედან გრაკალით და თავდება იქით სკრათი. ამ რაიონში 35—40 ვერსის მანძილზე ყველა სოფელი საშინლად დაზარალებულია. ქვის შენობები სულ დანგრეულია, არც ერთი არ დგას მიწაზე, განსაკუთრებით სოფლის სახლები, რომელნიც არ იყო ისე აშენებული, როგორც ამას მოითხოვს ტეხნიკური ცოდნა. მხოლოდ გომურები, ხის სახლები და წნულები გადარჩა და ხალხს იქა აქვს თავშესაფარი. საერთო რიცხვი გარდაცვალებულთა აღწევს 200 კაცამდე. ამათში უმეტესი ნაწილი დახოცილა ხიდისთავში და ოხერაში, დანარჩენი სხვა და სხვა სოფლებში. არ ყოფილა ისეთი სოფელი, რომ თვითეულში 4—5 მიცვალებულზე ნაკლები ყოფილიყო. უფლის ციხეში კი 24 მკვდარი დაუსაფლავებიათ უკვე კვირამდე. ზოგიერთი თუ ქვეშ მოჰყვა ნანგრევებს და გარდაიცვალა, ზოგიერთი სასტიკად გაჩეჩქვილი გამოიტანეს ნანგრევებიდან, მაგრამ, რადგანაც სასტიკი ყინვები იყო და არ შეგვეძლო მაშინვე ყველასათვის მიგვეცა თავ-შესაფარი, გარდაიცვალნენ, ასე რომ მთელ რიგ დაჭრილებისათვის ვერ მოასწრეს დახმარების აღმოჩენა.

ასეთია საერთო სურათი. უკვე 200 მძიმედ დაჭრილი და დაავადმყოფებული გამოიგზავნა ტფილისის სხვა და სხვა საავადმყოფოში. რაც შეეხება დანარჩენ ადგილებს—დღეს კიდევ გრძელდება დაჭრილების და დაავადმყოფებულების გამოგზავნა. არიან ისეთი პირები, რომელნიც არა ნორმალურ მდგომარეობაში იმყოფებიან. პანიკა იმდენად დიდია, რომ ადამიანს დაკარგული აქვს გრძნობა შთაბეჭდილების მიღებისა და თითქმის ლაპარაკისაც. შეგიძლიათ დაიაროთ ქალაქი და თუ არ გაწოდ ჰარაკებით, იშვიათად რაიმე გთხოვონ, გკითხონ ან დაგელაპარაკონ. სხედან მიყურე- [illegible] არიან. ეს არის საერთო სურათი ყველგან როგორც სოფლად, ისე ქალაქში. მაგალითად ჩვენ ვნახეთ ზოგიერთი სოფელი. მე პირადად არ მქონდა საშუალება ყველა მენახა, მე სხვა მოვალეობაც მაწვა, მაგრამ ზოგიერთმა წევრებმა, რომლებიც თან მახლდენ, ასეთი ცნობები მოიტანეს, რომ სოფლები წალეკულია, ხალხი გულხელ დაკრეფილი ზის და უცდის, რომ ვიღაც მოვა და ეშველს: აი ეს ქვა გადმაბრუნე და პური ამოიღეო თითონ კი ეს ვერ მოუხერხებია. ასეთ პარალიჩის მდგომარეობაში არის ხალხი. ასეთი არის სურათი მთელ ამ რაიონებში. დაწვრილებით არ შეიძლება ითქვას რამდენი მცხოვრები არის დაზარალებული ამ რაიონში, მაგრამ, მე მგონია, 70 ათასზე ნაკლები არ უნდა იყოს. რასაკვირველია ამ ნგრევის დროს ყველაზე უფრო საშინლად დაზარალდა სანოვაგე, საქონელი და ხარ-კამეჩი და რაც გადარჩა დამფთხალი გაქცეულა, დღემდის პატრონს ვერ მოუძებნია და არ იციან სად არის. შესაძლებელია ყინვამ დაათაოს ის, რაც მიწის ძვრამ დააკლო. ამ ჟამად ძალიან მცირე რიცხვი არის დარჩენილი საქონლისა და სანოვაგისა. იმ სოფლებში, რომლებსაც ბლომად ჰქონდათ სანოვაგე, იძულებულნი ვიყავით აქედგან მიგვეწოდებია პური და საზრდო. თვით ქალაქში პანიკა პირველ დღეებში იმდენად ძლიერი იყო, რომ თხოულობდნენ აქედან მიგვეწოდებინა შეშა მაშინ, როდესაც კომისიამ სხვა და სხვა დაწესებულების ეზოებში აღმოაჩინა რამდენიმე საჟენი შეშა. მაგრამ ისიც კი ვერ მოეხერხებინათ ეთქვათ და გაეხსენებინათ სად ჰქონდათ შენახული ესა თუ ის მათთვის საჭირო საგნები. უპირველეს ყოვლისა პირველი დახმარება, რომელიც ტფილისიდან იქნა გაგზავნილი, იყო წითელი ჯვრის რაზმი, ქალაქთა კავშირის და აგრეთვე რაზმი იტალიელებისა, რომელნიც, როგორც გამოცდილნი ასეთ საქმეებში, წავიდნენ ყველაზე უფრო მოწყობილნი იმით, რაც ასეთ შემთხვევაში საჭირო არის. 90 დე პალატკა გამართეს, ჰქონდათ თბილი ტანთსაცმელი, წყლის ასადუღებელი, რაც დაუყონებლივ დარიგებულ და განაწილებულ იქმნა მცხოვრებლებში. ჩვენც ჩ ვიტანეთ რამდენიმე ასეული პალატკა, მაგრამ ყველა ეს ქალაქის მცხოვრებლებს ქალაქში მაინც ვერ აჩერებს. სურსათის მოწოდების საქმე რამდენიმედ მოწესრიგებულია. გამომცხვარი პური, ჩაი, შაქარი—უკვე რამდენიმე მილიონ მანეთად ღირებული ლაგდება და იგზავნება იქ. ყველას ეძლევა გირვანქა, გირვანქა ნახევარი პური, ჩაი, შაქარი. პირველ დღეს 2 გირვანქა ეძლეოდათ, რადგან ძალიან დამშეულები იყვნენ. ცხრა პუნქტი არის გაშენებული ქალაქში, ხიდისთავში ორი და დანარჩენ დაზარალებულ სოფლებში დაიგზავნა პატარ-პატარა სანიტარული რაზმები—ხალხში პურის, ჩაის და შაქრის გასანაწილებლად. სრული იმედი გვაქვს, რომ ყველა სოფლებიდან მოგვივა ცნობები, ისე რომ ამ ორი დღის განმავლობაში არც ერთი სოფელი არ დარჩება მოუვლელი, რომ პირველი საჭიროების დახმარება არ აღმოუჩინონ, როგორც საექიმო, ისე სურსათის მხრივ. მეორე საკითხი იყო მთავარი. ეს არის ევაკუაცია. აქ განსხვავება არის ქალაქის და სოფლის შორის. ქალაქი სრულიად ცარიელდება და მიდის და სოფლებიდან კი არც ერთი ადამიანი ფეხს არ იცვლის. მათ კატეგორიულად განაცხადეს, რომ მამა-პაპეულს ადგილს არ მოშორდებიან, ოღონდ რაიმე დახმარება იქვე აღმოუჩინოთ. ამ გვარად ქალაქი თითქმის დაცარიელებულია, ხოლო სოფელს არ უნდა ევაკუაცია. ძალიან დიდი ქალაქში იყოს 4—5 ათასი მცხოვრები, ისიც იმიტომ, რომ ოჯახის უფროსები მამა-კაცები ბრუნდებიან, რომ თავის ქონებას უთვალყურონ. ასე რომ ქალაქში იქნება 2.000-მდე, მხოლოდ დანარჩენი გაიხიზნა ერთის მხრით სოფლებში, საიდგანაც მოაწყდა დიდ ძალი ურემი, ზოგი თემის თაოსნობით, ზოგიც დაბარებული მცხოვრებლებისაგან. და ის ხალხი, ვისაც ნათესავები ჰყავდა, მაზრაში გაიხიზნა. გარდა ამისა ყოველი მატარებელი ივსებოდა მცხოვრებლებით და იგზავნებოდა აქეთ. ბოლოს ჩვენ მოვაწყვეთ სამარშრუტო მატარებელი და გავგზავნეთ სურამში და ბორჯომში, სადაც სახლები არის დაქირავებული მათთვის. სურამში არის შექმნილი ერთგვარი განყოფილება მთავარ კომიტეტისა, ასეთივე განყოფილება არის თითონ გორში, სადაც ეძლევათ მცხოვრებლებს დახმარება. ასეთივე განყოფილება არის ბორჯომშიც.

ამის შემდეგ ჩამოვიდა სანიტარული და საექიმო რაზმები თელავიდან, დუშეთის მაზრიდან და ყველა ერობების ძალები ჩვენ განკარგულებაში გადმოვიდნენ და ისინი დაუყოვნებლივ გავგზავნეთ ყველა სოფლებში, რომ ავადმყოფები ჩამოეყვანათ და დახმარება აღ- [illegible] მო სანიტარულ დახმარების გარდა, იყო მიქცეული იმისთვის, რომ თუ შენობის დანგრევა ან აშენება იქნებოდა საჭირო, რაიმე გეგმა ყოფილიყო შემუშავებული. ამ მიზნით გაგზავნილი არის ქალაქთა კავშირის და სხვა დაწესებულებათა მიერ 4 ინჟენერი და 12 ტეხნიკოსი.

ესენი უხელმძღვანელებენ მცხოვრებლებს დანგრევა თუ დაშლა იქნება საჭირო სახლებისა, უჩვენებ ხალხს როგორ შეიძლება იქ მოტანებულ საქონლის და ნივთების ამოღებას და ამგვარად უხელმძღვანელებენ ამ საქმის მოგვარებას. უნდა ითქვას, რომ 10 ან 15% ამ სახლებისა თუ გამოდგება შესაკეთებლად. ასეთი არის შეხედულება გამოცდილ ინჟენრებისა. დანარჩენს დასჭირდებათ დანგრევა სრულიად დარღვევა და ახალი სახლების აშენება. ჩვენგან არის განზრახული შემდეგ ღონისძიების მიღება. გაიგზავნოს კომისია ინჟენრებისა და გეოლოგებისა, რომელნიც გამოარკვევენ ნიადაგს, ვითარებას, შესაძლოა რამდენამდე მაინც გამოარკვევენ, რა ხასიათისა და რით არის გამოწვეული ეს მიწის ძვრა. და დაასკვნის რა გზით და რის გაშენება შეიძლება იქ. მეორე კომისია იგზავნება, რომელიც შეადგენს დაწვრილებით ნუსხას დაზარალებულ ოჯახების, ვის რამდენი ზარალი მოუვიდა და რა სახის დახმარება სჭირია. იქვე არის შედგენილი ტეხნიკური კომისია, რომელიც თანახმად გეოლოგიური კომისიის დასკვნისა, შეიმუშავებს სოფლის გაშენების გეგმას. ისე რომ მომავალში ასეთი უბედურების განმეორებისაგან ამნაირივე ზარალი არ მოგვივიდეს. შენიშნულია ერთი გარემოება, რომ სოფელში სახლები ტყუპ-ტყუპად არის აშენებული და მაღლებმა დაბლები დაიტანა. შეიძლება ეს დაბალი სახლები არ დაზარალებულიყო და ხალხი ქვეშ არ მოყოლოდა. აი ეს არის საერთო მდგომარეობა საქმისა, რომელზედაც მოგახსენებთ ამ ორი დღის ნამუშევარზე. რაც შეეხება იმ თანხას, რომელზედაც აღნიშნეს მცირე იქნებაო, მართლაც რომ მცირეა. ის ნივთიერი დახმარება, რომელიც სხვა და სხვა უწყებამ გაუწია დაზარალებულთ აღემატება ამ პროექტის თანხას თავის ღირებულებით. უნდა აღვნიშნო, რომ ის ნივთიერი დახმარება აღემატება სამჯერ გადასადებ ფულს. ისე რომ ამ შემთხვევაში უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დეკრეტის მეორე მუხლს ე. ი. სანოვაგეს. ეს თანხა წვეთია ზღვაში, მაშინ, როდესაც ამ ნივთიერ დახმარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად მიღებული გვაქვს 8 ვაგონი დახერხილი ხის მასალისა, რომელიც დავგზავნეთ სოფლად ბარაკების ასაშენებლად. აგრეთვე მთელი რიგი სხვა მასალისა მივიღეთ: რკინეულობა, ლურსმანი და სხვა.

შეშეული, რომელიც უკვე გაიგზავნა ყოველივე ეს აუარებელ ფულად ღირს. ეს გაცილებით მეტად ღირს ვიდრე ის თანხა, რომელიც ჩვენ გავიღეთ.

ეს დეკრეტი შეადგენს არა ოც მილიონ მანეთის გაღებას, არამედ იმ დახმარებას, რომელიც აღმოჩენილია იგი უდრის 60—80 მილიონ მანეთს, ასეთი დახმარება შეგვიძლიან პირველად. ამ უკანასკნელ დღეებში ხალხს ეტყობა გამოფხიზლების ნიშნები, ერთგვარი თაოსნობის მუშაობა. ეს იმით აიხსნება, რომ კვირასა და ორშაბათს ხალხმა მუშაობა დაიწყო. ზოგმა თემმა თავისი ინიციატივით დიდი დახმარება აღმოუჩინა დაზარალებულთ' ამ დღეებში ცხინვალმა 140 ურემი გამოგვიგზავნა ევაკუაციისათვის. ყველა ეს იყო საერობო ბეგარის სახით. მხოლოდ ვაძლევდით ვერსზე ურემა 5—10 მანეთს სახარჯოდ.

თავის თავად ცხადია, ეს დიდ დახმარებად უნდა ჩაითვალოს. აგრეთვე გომის თემმა გამოგზავნა ერთი ვაგონი ხორბალი. დანარჩენი ხალხიც დაგვპირდა მუშა ხელის მოხმარებას. ამნაირად ყოველმა მეზობელმა რაიონმა, რომელიც არ დაზარალებულა დახმარება აღმოგვიჩინა იმ სახით, რა სახითაც ყველაზე უფრო აუცილებელი იყო გორისთვის; დაგვპირდენ ფიზიკურ მუშა ხელსაც. მე იმედი მაქვს, თუ ასეთი თანაგრძნობა გაგრძელდება, თუ ყველა დახმარებას აღმოგვიჩენს, შესაძლო იქნება ამ ქალაქის აღდგენა. დარწმუნებული ვარ მახლობელი სოფლები დახმარებას აღმოგვიჩენენ ყველა იმ საშუალებით, რომელიც მათ ხელში არის. ამის ნიშნები უკვე სჩანს. პირველი ნაბიჯი გადადგმულია. საჭირო არის დახმარება სახელმწიფოსი. ეს დახმარება უნდა გამოიხატოს არა ათეულ, არამედ ასეულ მილიონებით, ვინაიდან ამ ქალაქის აღდგენა ბოლოს და ბოლოს დღევანდელ კურსით მილიარდებამდ დაჯდება.

ასეთ დახმარების გაღება ერთს სახელმწიფოს მარტოდ მარტო არ შეუძლიან. მხოლოდ ფართე დახმარება მოგვცემს საშუალებას, ეს ქალაქი ისე აღვადგინოთ, რომ იქ ადამიანს არამც თუ შრომა შეეძლებოდეს, არამედ წარმატებაც შესძლოს.

**ახვლედიანი.** მოქალაქენო! მას შემდეგ, რაც ითქვა მომხსენებლისა და მინისტრის მიერ მე აღარაფერი დამრჩენია სათქმელი. და საზოგადოდ რა უნდა ვსთქვა? მოხდა უბედურება და ამ უბედურებას სათანადო ანგარიში უნდა გაუწიოთ. ესლა გვაკლდა, ასე ვსთქვათ, ჩვენ ამ უკანასკნელ წლებში ისეთი უბედურება გამოვიარეთ, ისეთ რთულ პირობებში ვიმყოფებით და ჩვენ ხალხს დასჭირდა იმდენი ენერგიის დახარჯვა, რომ მართლაც ის უბედურება, რომელიც გვეწვია ერთობ დამღონებელია. მე ვფიქრობ, ჩვენთვის საკმარისი იყო იმ ძალებთან შებრძოლება, ასე ვსთქვათ საზოგადოებრივ ძალებთან შებრძოლება, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე გვაქვს და სტიქიასთან ბრძოლა ჩვენ არ უნდა შეგვხვედროდა. სტიქიას სტიქია უნდა დაუპირდაპიროთ. სტიქია უნდა იყოს ჩვენს არსებაში, ჩვენს გრძნობაში, ჩვენს თანაგრძნობაში, ჩვენი ხალხისადმი. ეს ძალა იმდენად მტკიცე და მძლავრი არის, რომ შესძლებს სტიქიისებური სიძლიერით ამ ბუნებრივ სტიქიის მიერ გამოწვეულ უბედურების დაძლევას. ამაში ყველანი ერთნი ვართ. აქ არ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც სტიქიას ეხება საკითხი, ერთი კლასის, ან წოდების ან სოციალ მდგომარეობაზე. ვფიქრობ, რომ ყველამ ერთად განურჩევლად წოდებისა, კლასობრივ მდგომარეობისა, ჩვენ ტერიტორიაზე გაუწოდოთ ხელი და აღმოუჩინოთ დახმარება იმას, ვისაც დახმარება სჭირია.

მარტო დახმარება არ არის ჩვენი საქმე. მარტო დახმარება არ გააკეთებს საქმეს. ქართლის გული დაინგრა ჩვენ თვალწინ და გვსურს რომ აღსდგეს. როდესაც ამბობენ, რომ გორი აღარ არისო, მე ვამბობ გორი იქნება. ეს არის უძლიერესი ნების ყოფა ქართველი ერისა და მე იმედს გამოვსთქვამ, რომ რაკი არის ეს მისი წარმომადგენლები აქ სათანადო ზომებს მიიღებენ, რომ სძლიონ ეს უბედურება. მე იმედს გამოვთქვამ, რომ ყველა საზოგადოებრივი წრე რა ორგანიზაციაც უნდა იყვეს იგი მეცნიერული, კულტურული, ხელოვნური თუ სხვა გამოიღებენ ხელს და თავის წვლილს შეიტანენ ამ საერთო საზოგადოებრივ საქმეში. მე ვფიქრობ აგრეთვე, რომ ჩვენი დღევანდელი სულის კვეთება, რომლითაც მთელი საქართველო ყოფილა გამსჭვალული ეს თანაგრძნობის სულისკვეთება არ იქნება ხანმოკლე, იქნება ხანგრძლივი და მძლავრი, ვინაიდან საქმე არის ხანგრძლივი ერთი დღის და თვის საქმე არ არის ქალაქის და სოფლის აშენება და ჩვენ კი გვინდა ისინი ავაშენოთ. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ მთავრობა თავის მხრივ გამოიჩენს ნამდვილ ორგანიზაციულ ნიჭს და უნარს ამ საქმის გაძღოლაში. ეს დიდი საქმეა. მთავრობამ კიდეც დააარსა ორგანო განსაკუთრებით ამ საქმის გასაძღოლად. იმედი მაქვს ეს ორგანო გააფართოვებს თავის მუშაობას, რომ მთავრობა დააყენებს სალ დონეზე ამ მუშაობას, რომ იქნება გამოყენებული თანამედროვე ტეხნიკური, მეცნიერული, კულტურული საშუალებანი, რომ ის ნივთიერი დახმარება, რომელსაც გამოიღებს უეჭველად საქართველოს ხალხი და არა მარტო საკანონმდებლო დაწესებულება, არამედ ხალხმა უნდა გამოიღოს თავის ნებით. ამ თანხას ამ ქონებრივ დახმარებას ისე მოიხმარს მთავრობა, როგორც ეს შეეფერება მომენტს, დღევანდელ ჩვენს მდგომარეობას და მომავალს. ჩვენი ფრაქცია უერთდება ამ წინადადებას, რომელიც შემოსულია დეკრეტის სახით. ამასთანავე წინადადება შემოგვაქვს დამფ. კრების პრეზიდიუმმა გამოსცეს მოწოდება დამფ. კრების სახელით, რომელშიაც უნდა იყოს გამოხატული ყველა ის აზრები, რომელიც წარმოითქვა, ან წარმოითქმება. მე ვფიქრობ ყოველი აზრი ერთი და იგივე იქნება არსებითად. გარდა ამისა ფრაქცია ფიქრობს, რომ თვით დამფ. კრების წევრებმა ერთ დროულად უნდა გამოიღონ რაიმე წვლილი. ამაზე რა თქმა უნდა ვერ გავჩერდებით, მაგრამ დღეს დღეობით მაინც უნდა გავიღოთ. მე მგონია, რომ ეს თანხა იქნება 130 ათასი, რომელიც დამფ. კრების წევრებმა დღესვე უნდა გამოიღონ თავის დიეტიდან. შემდეგ რა თქმა უნდა ლაპარაკი არ შეიძლება მე მგონია იმაზე, რომ იმ რაიონებში, სადაც უბედურება მოხდა, რომ რაიმე გადასახადები დაედოს დაზარალებულ ხალხს. ეს უნდა იქნეს უეჭველად შეჩერებული. ჩვენ დიდი მუშაობა მოგველის და ამ მუშაობაში, იმედი მაქვს, აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ და ჩვენ პირადად ყველა კუთხეებში ვიმუშავებთ. დახმარებას გაუწევთ მთავრობას და აგრეთვე იმ ორგანიზაციებს, რომელნიც უეჭველად გვექნება ჩვენ ტერიტორიაზე ამ მიზნისთვის და ამ საერთო ძალით, ვფიქრობთ და იმედი გვაქვს დავსძლევთ ამ საერთო სტიქიურ უბედურებას.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქნა.

მიღებულ იქნა აგრეთვე სოც. დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით შემდეგი დადგენილებანი:

1) პრეზიდიუმმა გამოუშვას მოწოდება, დაიბეჭდოს ყოველივე ნათქვამი დამფ. კრებაზე მიწის ძვრის შესახებ;

2) დამფუძნებელი კრების დეპუტატებმა გადადონ ერთდროული დახმარების სახით 130 ათასი მანეთი;

3) შეჩერებულ იქნეს ხარკის აღება დაზარალებულ სოფლებში;

**ს. მდივნის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სამხედრო საჭიროებისათვის 40000000 მ. სამხედრო ფონდიდან გადადებისა და დეკრეტი—სამხედრო უწყებისათვის დამატებითი 58026622 მან. გადადებისა და მისივე შესანახად ყოველთვიურათ 36609761 მან. დანიშვნისა ამა 1920 წლის თებერვლის 1-დან 1 ივნისამდე.

შემდეგ მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა—1) უცხოეთიდან შემოსატან საქონელზე საბაჟო ტარიფის შეცვლის შესახებ, 2) საერობო-სამეურნეო დაწესებულებათა მოსამსახურეების ახალი შტატის დამტკიცების შესახებ და საბოლოო ტექსტი დადგენილებისა—სახელმწიფო ბანკის გამგის და გამგეობის წევრთა ჯამაგირის შესახებ.

**ს. მდივნის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი გარეშე საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 3 მილიონი მან. გადადებისა სხვა და სხვა მოულოდნელ ხარჯებისათვის.

**გ. გაგლოევის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—სახაზინო რკინის-გზის საოპერაციო ავანსის დამტკიცებისა, ამავე რკინისგზისათვის განსაკუთრებულ თანხის დაარსებისა დასატრიალებელ კაპიტალის გადიდებისა.

**მ. რუხიას და ის. ხალვაშის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ლანჩხუთის ქალაქის თვითმართველობის და სენაკის სამაზრო ერობისათვის 1000000 მან. სესხის მიცემისა მდინარე რიონის ნაპირების გასამაგრებლად.

ი. ხადაჟაიას მოხსენებით მოხდა მუხლობრივი განხილვა და მიღებულ იქნა კანონპროექტი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დაწესებულებათა ორგანიზაციის შესახებ.

ს. მდივნის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—სარტილერიო საწყობის ნებით დაქირავებულ სადარაჯო გუნდის შესანახად 2113986 მ. გადადებისა.

მ. რუხაძე მოახსენებს კრებას კანონ-პროექტებს საგვარეულო უძრავი ქონების გამოდგილის უფლების გაუქმების შესახებ. ამ კანონპროექტით უქმდება ის ინსტიტუტი, რომელიც შექმნილ იყო ხელ სხვა სოციალურ პირობებში, ვინემ დღეს არის, ამ უფლებით სარგებლობდა განსაკუთრებით ერთი წოდება-თავად აზნაურობა. ეს კანონიც მათ იცავდა. ამ ჟამად კი ეს ინსტიტუტი, როგორც სრულიად ზედმეტი, გაუქმებულ უნდა იქნას. ამ კანონს უნდა მიეცეს აგრეთვე უკუქცევითი ძალა და ყველა ის საქმეები, რომელნიც დაწყებულია ამ ნიადაგზე მოსპობილ იქნას.

შ. მესხიშვილი პრინციპიალურად მომხრეა ამ კანონ პროექტისა, მაგრამ იურიდიული, თეორეტიული თვალსაზრისით წინააღმდეგია, რომ კანონს უკუქცევითი ძალა მიეცეს.

გ. გიორგაძე ამტკიცებს, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით, სამართლიანობის მიხედვით ამ კანონს უნდა მიეცეს უკუქცევითი მოქმედებითი ხასიათი, ვინაიდან ეს კანონი მიმართულია სპეკულიანტების წინააღმდეგ. წინეთ როცა ფულის კურსი მაღლა იდგა, ამბობს ორატორი, მათ გაყიდეს ესა თუ ის ქონება, ახლა კი როცა ფულის კურსი დაეცა, მათ სურთ ისევ დაიბრუნონ უკან გაყიდული ქონება და ამით ერთგვარ სპეკულიაციას ეწევიან, ჩვენ ყოველგვარ სპეკულიაციის წინააღმდეგ სასტიკად უნდა ვიბრძოლოთ.

გ. ზვაზავა ეთანხმება პრინციპიალურად კანონ-პროექტის დედა აზრს და ამბობს, რომ თეორიაში ჯერ კიდევ სადაოა—მიეცეს თუ არა სამოქალაქო კანონს უკუქცევითი ძალა. მე კი ვფიქრობ, რომ ასეთი ძალა სამოქალაქო კანონს ზოგიერთ მომენტებში აუცილებლათ უნდა მიეცეს. მაგ. როდესაც კანონი შეეხება არა კეთილ შეძენილ უფლებას, ან ქონებას, მაშინ აუცილებლათ საჭიროა კანონს ჰქონდეს უკუმოქმედებითი ხასიათი.

მოხსენებელი უპასუხებს მესხიშვილის ყველა დებულებებს და იცავს კანონ პროექტს. მუხლობრივი განხილვა შემდეგ მოხდება.

---

# მიწის ძვრა.

**გორის დათვალიერება.**

24 თებერვალს სასწრაფო მატარებლით გორში გაემგზავრენ: ბრიტანიის უმაღლესი კომისარი ბ-ნი ოლ. უორდროპი, საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი დე-ნონაკური, საფრანგეთის კონსული დიუ-რიუ, ბრიტანიის მისიის მდივანი ბ-ნ გრანდი, პოლონეთის წარმომადგენელი ბ. ოსტოვსკი, საფრანგეთის წარმომადგენელი სომხეთში ბ. პუა-დე-ბარი, სამხედრო ატაშე საფრანგეთის მისიასთან ბ-ნი ფორე, უკრაინის წარმომადგენლის მოადგილე ბ. ტიშჩევიჩი, იტალიის მისიის წარმომადგენელი დ-რი კუკ-ი და მაიორი კამანიი ამერიკის სომხეთში მისიის წარმომადგენელი მაიორ პეიტონი. მათთან ერთად გაემგზავრენ აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ქარცივაძე, სახელმწიფო კონტროლიორი ფ. გოგიჩაიშვილი, მისი ამხანაგი ბ. ანდრონიკაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მდივანი ბ. ნაზაროვი, დ-რი ლამბაშიძე, საგანგებო დავალებათა ოფიცერი ორბელიანი და ხაღ. ტფილისის კომენდანტი ნიკოლაიშვილი.

გორში ჩასვლისათანავე გორის ქალაქის მოურავის, დამფუძნებელ კრების წევრის იმნაიშვილს და წითელ ჯვრის წარმომადგენლის ბ-ქ. ზანდუკელთან ერთად ჩამოსულებმა დაათვალიერეს ქ. გორის და ს. ხიდისთავის ნანგრევები. საღამოს 7 საათზე სასწრაფო მატარებელი უკან დაბრუნდა.

**თანაგრძნობა და შემოწირულება.**

მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ შემდეგი დეპეშები მიიღო:

ბაქოდან: „გთხოვთ თქვენს განკარგულებაში მიიღოთ 200,000 მანეთი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. ფულს გადმოგცემთ ჩვენი რწმუნებული პეპინოვი".

ძმ. ხკობელევები.

იქიდანვე: „გთხოვთ მიიღოთ ჩემი და მთავრობის მწუხარების გრძნობა მიწის ძვრით საქართველოსთვის მიყენებულ უბედურების გამო".

მთავრობის თავმჯდომარე უსუბბეკოვი.

ქუთაისიდან: „პირადათ მე და ჩემდამი რწმუნებული იმერეთის სამწყსო მთავრობასთან ერთად ვტირით და ვგოდებთ სამშობლოს თავზე დატეხილ მოულოდნელ უბედურებას. მკვდართათვის ვლოცულობთ,—გადარჩენილთა მდგომარეობის შესამსუბუქებლათ მიღებულ იქნება ყოველივე ძალღონე".

ქუთაისის მიტროპოლიტი ნაზარი.

---

„ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა იზიარებს ქართველების მწუხარებას გორის უბედურების გამო და იმედოვნებს, რომ ქართველი ერი ღირსეულათ ამოუდგება მთავრობას გვერდში გაჭირვებულთათვის დახმარების საქმეში, რომლის ფონდის გასამართავათ გადაიდო 22 თებერვლის წარმოდგენის წმინდა შემოსავალი".

გამგეობის თავმჯდომარე ურატაშვილი.

სოხუმიდან: „საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა საშიში ცნობა ქ. გორის და მისი ქალაქის თვითმმართველობის შენობის დანგრევის შესახებ. საბჭო დიდათ დაამწუხარა ამ ამბავმა და მწუხარებას გამოსთქვამს მთელი ქართველი ხალხისადმი. მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ გადაიდო 250,000 მან. მიღებულია ზომები შემოწირულებათა შესაკრებათ და დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევათ".

გორზოლავა, ნადარეიშვილი, გამგეობის წევრი ზენაა.

სპარსეთის განსაკუთრებულ მისიის ბაქოში მეთაურმა ტაბა ტაბაიამ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ბ-ნ ალშიბაიას ღრმა მწუხარება განუცხადა ქ. გორისა და მისი მიდამოების თავს დატეხილ სტიქიურ უბედურების გამო და სთხოვა ბ-ნ ალშიბაიას ეს საქართველოს მთავრობას აცნობოს. ტაბა ტაბაია დაჰპირდა, რომ დაუყოვნებლივ სთხოვს ტელეგრაფით სპარსეთის მთავრობას თეირანში ყოველგვარი დახმარება გაუწიოს საქართველოს მცხოვრებთათვის ბრინჯის გამოსაზიდათ, მანამდე კი თავისი ძალაუფლებით ნება დართო სპარსეთიდან ამ მიზნით გამოზიდულ იქნას 50 ათასი ფუთი ბრინჯი.

აზერბეიჯანის პარლამენტის თავმჯდომარემ ჯაფაროვმა და მდივანმა გაჯინსკიმ ბაქოში ინახულეს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ალშიბაია და პარლამენტის სახელით ღრმა თანაგრძნობა განუცხადეს საქართველოში მომხდარ სტიქიურ უბედურების გამო და სთხოვეს ეს აცნობოს საქართველოს მთავრობას.

აზერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხან-ხოისკმა და გზათა მინისტრმა მელიქ ასლანოვმა ინახულეს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ალშიბაია და მთავრობის სახელით ღრმა თანაგრძნობა განუცხადეს საქართველოში მომხდარ უბედურების გამო და სთხოვეს ეს აცნობოს საქართველოს მთავრობას.

საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო სპარსეთის გენერალურ კონსულისაგან ამიერ-კავკასიაში:

„ბაქოში საჩქაროდ გამგზავრების გამო საშუალება არა მქონდა გულწრფელი მწუხარება და თანაგრძნობა განმეცხადებინა თქვენთვის საქართველოს თავს დატეხილ სტიქიურ უბედურების გამო.

დარწმუნებული ვარ, რომ მთავრობის და ერის საერთო ცდით და მეგობართა გულწრფელ თანაგრძნობით რესპუბლიკა ძალას ჰპოვებს ამ უბედურების გადასატანათ".

**მთავრობის გამგზავრება.**

თებერვლის 26, მთავრობის თავმჯდომარე ნ. ნ. ჟორდანია, მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრნი 26 თებერვალს დილის 9 საათზე საგანგებო მატარებლით გაემგზავრენ ქ. გორს.

---

# შავი ზღვის გლეხთა ლაშქრის გამარჯვება.

(შ. ზ. გ. ლაშქრის მთავარი შტაბის ცნობა).

უწესრიგოთ უკან დახეულ მტრის დევნა 15 თებ. საღამომდის გაგრძელდა. დენიკინელებმა დიდი ზარალი ნახეს, რადგანაც მათ ბრძოლა მოუხდათ სამი მხრით. საღამოს ჩვენ ხელთ ვიგდეთ კიდევ ერთი ზარბაზანი, 6 ტყვიისმფრქვეველი და 200-დე ტყვე, მათ შორის 41 ოფიცერი, 23 იანვარს. 13 თებ. შავი ზღვის ლაშქარმა ბრძოლით ხელთ იგდო 8 ზარბაზანი, 33 ტყვიის მფრქვეველი, 2000 ვინტოვკა, 1000000 პატრონი და 1200 ტყვე, მათ შორის 100 ოფიცერი, დიდი საწყობები სურსათ სანოვაგისა ტანთსაცმელებით. „ოზოზები" ორი პოლკისა და სომხების ბატალიონისა ლაზარევკასთან მოკლულებში იცნეს კამანდირები სალიანისა და შირვანის პოლკის სომხების ბატალიონისა. შავი ზღვის ლაშქრის ზარალია 15 მოკლული და 65 დაჭრილი და გადასვლის დროს გაყინული. ერთ ერთ შეტაკებაში მოჰკლეს გლეხთა ლაშქრის სოჭის საოლქო შტაბის თავმჯდომარე და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ვასილიევი.

მოხალისეთა ლაშქრის ყველა ოფიცერი და პოლიციელნი მთავარმა შტაბმა გადასცა საგამომძიებლო კომისიას მის გამოსარკვევად დებულობდენ, თუ არა ისინი მონაწილეობას იმ დამსჯელ რაზმში, რომლებმაც გაანადგურა რამდენიმე სოფელი, დაანგრია გლეხთა მეურნეობა და არ შეიბრალა ქალები და ბავშვები.

ამ ექსპედიციების ყველა მონაწილე სამოქალაქო თანამდებობის პირთა განკარგულებით მიეცემიან სამართალში არა როგორც პოლიტიკური, არამედ როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი. ვისაც ამ სამარცხვინო საქმეებში მონაწილეობა არ მიუღია, მათ ათავისუფლებენ. ტყვეთ წამოყვანილი ყუბანის ყაზახები გაათავისუფლეს. მათ განაცხადეს, რომ არასოდეს არ წავლენ შავი ზღვის პირის გლეხთა წინააღმდეგ. სალიანისა და შირვანის პოლკების დანარჩენი ჯარის-კაცები ჩვენ მხარეზე გადმოვიდენ და დენიკინის წინააღმდეგ მედგრად იბრძვიან. ტყვეთ წამოყვანილი და ჩვენ მხარეზე თავის ნებით გადმოსული სომხების ბატალიონის ოფიცრები და ჯარისკაცები არავითარ შევიწროებას არ განიცდიან. დარჩენილ ავადმყოფებს ისევე უვლით, როგორც ჩვენ დაჭრილებსა და ავადმყოფებს. სოჭაში ორჯერ ჩამოსული ინგლისის მისიის თავმჯდომარე ზემოაღნიშნულში თითონ დარწმუნდა. დასასრულ შტაბი აცხადებს, რომ იგი ტყვეებს არ დახვრეტს, როგორც ამას მოხალისენი სჩადიან. (ს. დ. ხ.).

---

# ე რ ო ბ ა

**ტფილისის სამაზრო ერობაში.**

**ახალი განყოფილება.**

მიწათ მოქმედების სამინისტროს სამიჯნო განყოფილება შეუერთდა ტფილისის სამაზრო ერობას, რომელიც ახლო მომავალში დაიწყებს მოქმედებას.

**მიწების დამუშავება.**

ცხოვრებაში გატარება მიწების აუცილებელ დამუშავების საკითხისა და საერთო ხელმძღვანელობა ამ საქმისა ერობის გამგეობამ დააკისრა საადგილ-მამულო განყოფილებას, რომელიც უკვე შეუდგა სათანადო ზომების მიღებას.

**ფერმის მოწყობა.**

ერობამ გადასწყვიტა გააფართოოს ტრანსპორტის წარმოება და მოაწყოს ფერმა, ამისათვის იგი იძენს ერთ ვაგონ მარილს და ერთ ვაგონ ხორბლეულობას გადასაცვლელად ახალციხის დუხაბორებში ძროხებსა და სამუშაო ცხენებზე.

**საჩივრები.**

მაზრის ერობაში სისტემატიურად უჩივიან ერობის მოსამსახურენი თემებს, რომ უკანასკნელნი ერობიდან გამოგზავნილ ფულებს მოსამსახურეთათვის ჯამაგირებისათვის დასარიგებლად აბრკოლებენ, დროზე არ არიგებენ და აბანდებენ სასურსათო ოპერაციებში, რისთვისაც თემებთან მოსამსახურეებს უსიამოვნება მოსდით. ამიტომ მაზრის ერობის გამგეობამ ცირკულიარულად მიმართა ყველა თემებს, რათა ერთხელ და უკანასკნელად მოაწესრიგონ მათ ჯამაგირების დროზე დარიგების საქმე, და არ ექნეს შემდეგში ასეთ მოვლენებს ადგილი.

**დახმარება გორს.**

გორში მომხდარ უბედურების გამო მაზრის ერობა სასწრაფოდ აგზავნის დამხმარე სამედიცინო რაზმს და ატანს თან აუცილებელ შესახვევ მასალას და სურსათ სანოვაგეს: ჩაის, შაქარს, ბრინჯს, ფქვილს, ლობიოს, კონსერვებს და თბილ საცვლებს.

**ზუგდიდის ერობაში.**

სულ მაზრაში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 21 ათას ას თერთმეტ ამრჩეველმა, ამათგან ს. დ. სიას ხმა მისცა: 10,740, ს. რევ. 5, 804, ნაც. დემ. 2,889 და სოც. ფედ. 1627. სოციალ დემოკრატებმა გაიყვანეს 16 ხმოსანი, სოც. რევ. 9, ნაც. დემ. 3 და ფედერალისტებმა 2 კაცი.

1919 წლის არჩევნებში ზუგდიდში ესერებმა მიიღეს 8377 ხმა და გაიყვანეს 12 ხმოსანი, ამ არჩევნებში კი ესერები დამარცხდენ.

**ერობათა კომიტეტში.**

ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტი ამ დღეებში გამოსცემს თავის ორგანოს, თვიურ ჟურნალს სახელწოდებით „ერობას", რედაქტორობა დაევალა გრიგოლ ლორთქიფანიძეს. სარედაქციო კოლეგიაში შედიან: დავით სულიაშვილი (ლიხელი) და ბ-ნი დადვაძე.

**ქუთაისის ერობაში.**

22 მარტს ქ. ქუთაისში შესდგა ყრილობა ქუთ. გუბერნიის ტყის ზედამხედველების, ერობათა, ქალაქთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლების და სხვა დაინტერესებულ პირთა თანდასწრებით. ყრილობა გაარკვევს საკითხს სატყეო მეურნეობის შესახებ.

ყრილობამ უნდა გამოიმუშაოს აგრეთვე წესები გუბერნიაში არსებულ ტყეების დაცვისა წესიერი განაწილებისა მე ტყის მასალების და დააწესოს კონტროლი სატყეო მმართველობაზე.

ყრილობის თავმჯდომარეობას გასწევს ინსპექტორი ან ვიცე ინსპექტორი საქართველოს სატყეო მმართველობისა.

ყრილობის დღიურ წესრიგში დაახლოვებით შემდეგი საკითხებია:

1) ტყის დაცვის შესახებ. 2) ტყეების ექსპლოატაცია 3) სატყეო კულტურა.

---

# მასწავლებელთა კავშირის საბჭოში.

მასწავლებელთა საბჭოს აღმასრულებელმა ბიურომ შემდეგი მოწოდებით მიმართა მასწავლებლებს:

ამხანაგებო! ჩვენი კავშირი ჯერ არაა გარკვეულ საფუძვლებზედ გაერთიანებული მთლიანი ორგანიზაცია, რაც აუცილებელი პირობაა, რომ კავშირმა ფრთები გაშალოს და ნაყოფიერი მუშაობა აწარმოოს. აუცილებლად უნდა დავამყაროთ ცენტრსა და პერიფერიებს შორის მჭიდრო ურთიერთობა, რომ მთელ რესპუბლიკას სივრცეზე გაფანტული წვრილი ორგანიზაციები არ იყვნენ მოწყვეტილნი ცენტრის ხელმძღვანელობას და რომ ცენტრი არ იყოს ჰაერში გამოკიდული. ამიტომ ამხანაგურად გთხოვთ, რაც შეიძლება დაჩქარებით, არა უგვიანეს შუა მარტისა, მოგვცეთ სწორი პასუხი ყველა ქვემოდ ჩამოთვლილ კითხვებზედ:

1. რამდენი წევრი ჰყავს თქვენს სამაზრო კავშირს?

2. რამდენი ფილიალი აქვს და რამდენი წევრია თითოეულ ფილიალში (უნდა ჩამოთვლილ იქმნას ფილიალები წევრთა რიცხვის მოწერით.)

3. რა საფუძველზედ არის კავშირი დაყოფილი ფილიალებად: თემების მიხედვით თუ რაიონებად?

4. რამდენია საარჩევნო გადასახადი ფილიალებში?

5. რამდენ პროცენტს აგზავნის ფილიალი თქვენს კასაში?

6. შედის თუ არა თქვენი კავშირი ადგილობრივ კავშირთა-კავშირში, თუ ასეთი არ არსებობს?

7. რამდენ პროცენტს იხდის თქვენი კავშირი ამ ადგილობრივ კავშირთა-კავშირში?

8. შემოდის თუ რეგულიალურად საწევრო გადასახადი ფილიალებში და ფილიალებიდან თქვენს კასაში?

9. როგორია საწევრო გადასახადის წესი: ნებაყოფლობით შემოტანაა მიღებული, თუ ჯამაგირიდან სავალდებულო გამორიცხვა?

10. უკანასკნელ შემთხვევაში ვის ევალება ხვედრი გადასახადის ჯამაგირიდან გამორიცხვა?

11. რამდენს უდრიდა თქვენი კავშირის კასა 1920 წლის 1 თებერვლისათვის.

12. როგორი წესით აწარმოებს კავშირი შემოსავალ-გასავლის ანგარიშს?

13. სამაზრო თუ საქალაქო კავშირის წესდება (თუ დაწერილი წესდება არ არის მაშინ ფაქტიური წესდების მთავარი მუხლები).

14. კავშირის წევრთა საერთო ან დელეგატთა ყრილობების ყველა ოქმთა ასლები.

15. უკანასკნელი ყრილობის მიერ დამტკიცებული შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

16. მიმდინარე 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, თუ ასეთი არსებობს.

17. თქვენი კავშირის გამგეობის სარევიზიო კომისიის და სხვა კომისიების წევრთა სახელი, გვარი, მისამართი და თანამდებობა (თავმჯდომარე, ამხანაგი, მდივანი და სხვა).

18. როგორც თქვენი კავშირის ისე ყველა ფილიალების სწორი მისამართი (ფოსტისაც და დეპეშისაც).

თუ მაზრაში ან ქალაქში არსებობს კიდევ მასწავლებელთა სხვა რომელიმე დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომლის წევრები არ შედიან ადგილობრივ ცენტრში წევრებად, იმ შემთხვევაში ეს ორგანიზაციებიც კეთილ ინებებენ და მოგვაწვდიან მოთხოვნილ ცნობებს.

ცნობები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი, წერა-კითხვის საზოგადოება, დამფუძნებელი კრ. ქ. № 5.

ამხანაგური სალამი სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს.

აღმასრულებელი ბიურო.

### მასწავლებელთა კავშირში

24 თებერვალს საღამოს 6 ს. პირველ ვაჟთა გიმნაზიის შენობაში გაიმართა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს წევრთა და ადგილობრივ მასწავლებელთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეერთებული კრება. თავმჯდომარეობდა საბჭოს თავმჯდომარე გ. ზურჯანაძე. კრების განსახილველ საგანს შეადგენდა „მასწავლებელთა ორგანიზაციების მონაწილეობა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა ფონდის გაძლიერების საქმეში“. გ. ზურჯანაძემ გააცნო კრებას უკვე არჩეულ დამხმარე კომიტეტების სამოქმედო გეგმა და აგრეთვე თავისი პროექტიც, თუ რა სახით უნდა მოხდეს მასწავლებელთა შორის ფულის შეგროვება. მცირე კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა:

1. მიმართოს მოწოდებით რესპუბლიკის ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლების მასწავლებელთ გაიღონ თებერვლის ჯამაგირიდან შეძლებისდაგვარი წვლილი გორის ფონდის გასაძლიერებლად.

2. თითოეულ სკოლაში შემოწირულებას აგროვებს სკოლის გამგე. ადგენს შემომწირველთა სიას.

3. შეკრებილი ფული გადაეცემა განსაკუთრებულ კომიტეტს.

4. კომიტეტში კრებამ აირჩია სამი წევრი: ი. ღულაძე, ალ. ფირცხალაიშვილი და პ. ჭანიშვილი (საბჭოს ბიუროს მდივანი).

5. კომიტეტის ბინა იქნება ვაჟთა 1 გიმნაზიაში.

თავის წარმომადგენლად ქალაქის საბჭოს კომისიაში კრებამ აირჩია ალ. ფირცხალაიშვილი.

# სასურსათო განყოფილებაში

ზოგ დაწესებულებებში გავრცელებულია ხმები, რომ სასურსათო განყოფილება მუშა-მოსამსახურეთა კუთვნილ პურს საცხებით გზავნის გორში და ამიტომ მუშა-მოსამსახურეებს პური არ მიეცემათო.

სასურსათო განყოფილება ამით აუწყებს ყველა მუშა-მოსამსახურეთ, რომ პური არც ერთს დაწესებულებას არ შესწყვეტია. მუშათა მაგიდის ფქვილის საგზალიდან პურის საცხობებში ცხვება საკმაო რაოდენობა პურის, როგორც გორის დაზარალებულთათვის, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთათვის. პური არ მიეცა მხოლოდ იმ დაწესებულებებს, რომელთაც თავიანთი კუთვნილი პური შესწირეს გორელებს. ეს პური განსაკუთრებული ორდერით გაიგზავნა გორში. ამათი სია ცალკე იქნება გამოქვეყნებული გაზეთებში.

### ფართლეულობა.

სასურსათო განყოფილება ამით აცხადებს ქალაქ ტფილისის მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ საფართლეულო № 1 მაღაზიის გარდა, რომელიც მოთავსებულია თავისუფლების მოედანზე ძმ. ფირაქიშვილების მაღაზიაში, კვლავ გაიხსნა 2 საფართლეულო მაღაზია: კახეთის მოედანზე, ვართანოვის სახლებში (მე-7 უბანი) და ელისაბედის ქუჩაზედ, მომარაგების კომიტეტის საწყობის პირდაპირ (ყოფილი საქალაქო ალექსიძისა მე-10 უბანი). ფართლეულობა იყიდება მცხოვრებლებზედ უბარათოდ. არის მრავალი სხვა და სხვა გვარი ფართალი: ხამბაზია, ფლანელი, საცვლებისათვის მიტკალი და შერტინგი, მატყლის და მატყლ ნარევი საქონელი, ხავერდი, ფულარი, სატინა, ჩითი, ხელსახოცები და სხვა. საქონელი მუდამ შევსილი და განახლებული იქნება.

# შემოწირულება

### მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ამიერ-კავკასიის ბანკმა გადასდო დაზარალებულთა სასარგებლოდ 500,000 მან. ჩვენი რედაქციის კანტორამ მიიღო: 1) სახელმწიფო სტამბის მუშა-მოსამსახურეთაგან 2,465 მანეთი. 2) გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ ასოთ-ამწყობთაგან 1,050 მანეთი, 3) ბარბარე მაისურაძისაგან—200 მანეთი.

სომხეთა „ეროვნულმა საბჭომ“ გადასდო 50,000 მან. და აგრეთვე თანხა 20-აწლის შესანახად.

# პროფ. კავშირებში.

### საგანგებო სხდომა.

24 თებერვალს შესდგა არაჩვეულებრივი სხდომა პროფ. კავშირთა სეკრეტარიატის შრომის სამინისტროს რწმუნებულის მონაწილეობით. სხდომაზე გასარჩევი იყო სასურსათო საკითხი. სხდომაზე დადასტურებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც პირველ მოთხოვნილების პროდუქტები სხვა და სხვა დაწესებულებათა შორის უნდა განაწილებულ იქნას კოოპერატივების საშუალებით, ხოლო ქარხნების მუშათა შორის არსებულ საქარხნო კომიტეტების საშუალებით. დადგენილ იქნა აგრეთვე აიკრძალოს საკონდიტეროებში გამოცხობა ტორტების და სხვა და სხვა ტკბილეულ ნამცხვრების, რომლებზედაც ბევრი იხარჯება შაქარი, ფქვილი, კვერცხი და სხვ. დადგენილ იქნა 29 თებერვლისათვის მოწვეულ იქნას პროფ. კავშირთა წარმომადგენლების და საქარხნო კომიტეტის გამგეობის შეერთებული სხდომა, რომელზედაც გამომუშავებულ იქნება ნორმა გორის მაზრის დაზარალებულთა სასარგებლოთ.

# რკინის გზაზე

24 თებერვალს, დილის 11 საათზე ტფილისიდან გორში გაემგზავრენ მისიების წარმომადგენლები და საღამოს 8 საათზე დაბრუნდენ.

—

გზათა დეპარტამენტის დირექტორმა ჭიჭინაძემ განკარგულება გასცა, რომ აკრძალული აქვთ რკინის გზის ყველა მოსამსახურეებს შეასრულონ განკარგულება რკინის გზის შესახებ, რომელიც არ გამომდინარეობს რკინის გზის სათანადო მმართველობიდან. მომენტის პასუხისმგებლობა დ რეგულიარული მუშაობის განახლება მოითხოვენ დისციპლინისა და ინსტრუქციის დაცვას, და კერძო პირთა რკინისგზის საქმეში ჩარევა, აფერხებს საქმეს. ეს განკარგულება უნდა გამოცხადდეს ყველა სადგურებზე ტფილისიდან ხაშურამდე, ბორჯომამდე და სურამამდე.

საგანგებო კრების თავმჯდომარეს სთხოვს განუმარტოს ეს ყველა ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ გორის კომიტეტის საქმეებს.

# მილიციაში

### ქურდობა.

ოც თებერვალს, სამხედრო გამომძიებლის, დ. მონასელიძის ბინიდან, ვარდისუბნის ქუჩაზე, ბოროტგამზრახველებმა შეამტვრიეს კარები და გაიტაცეს სხვა და სხვა საოჯახო ნივთები 60,000 მანეთისა. ეჭვით დააპატიმრეს ლ. ნემიშნინი.

არ. ნასყიდოვის ბინიდან, სურფ-სარქისის ალმართზე მოიპარეს 250,000 მანეთის საოჯახო ნივთები, მილიციამ შეიპყრო სამი პირი.

### დაჭრა.

24 თებერვალს, დილით, ვოგზალის ქუჩაზე ნ. კობახიძემ და ქავთარაძემ ასტეხეს ჩხუბი, ქავთარაძემ ნაგანის სისტემის რევოლვერით მუცელში მძიმედ დასჭრა კობახიძე, უკანასკნელი გაგზავნეს მიხეილის საავადმყოფოში.

14 თებერვალს, ფილიპე მარკოზის ძე თედორაძემ, რომელიც სცხოვრობს სასტუმრო უნივერსალში, განუცხადა სისხლ. სამართლის მილიციას, რომ მას მოპარეს 12,500 მან. მილიციამ გამოარკვია, რომ ფული მოუპარავს სასტუმროს მსახურს პეტრე კვინტელიას, რომელიც თუმცა ქურდობაში არ გამოტყდა, მაგრამ დაკითხვით გამოირკვა, რომ ის დამნაშავეა, რისთვისაც ის გადაეცა ქ. ტფილისის მეორე უბნის გამომძიებელს.

ორ თებერვალს, რესტორან „ქიმერიონის“ დირექტორმა პოლკოვნიკმა თულაშვილმა განუცხადა სისხლ. სამართლ. მილიციას, რომ რესტორანის სამზარეულოდან სისტემატიურად იპარავენ სხვა და სხვა ჭურჭელს სულ 83,000 მან. მილიციამ გამოარკვია, რომ მომპარავი არის სამზარეულოს მოსამსახურე ლუარსაბ კაცლი, რომელმაც დამალვა მოასწრო, ეძებენ მას და დაკარგულ ჭურჭელს.

---

### განცხადებანი

ქალ. ტფილისის მე-19 უბ. მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ გიორგი პავლოვის, იგივე პოდკოპაილოს მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება პავლოვის, იგივე პოდკოპაილოს ქონებაზე სამ. კან. მე-1241 მუხ. აღნიშნული ვადაში.

267 1—1

ზურაბ ნიკოლოზის ძე ელიავა აცხადებს, რომ მან დაკარგა ტფილისის ლევანდოვის გიმნაზიის კანცელარიიდან აღებული სიმწიფის მოწმობა, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

339 3—1

დაკარგული აღრიცხვის მოწმობა სამხედრო მოხელის გიორგი ალექსანდრეს ძე კვიკვიძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო უფროსისგან 24 დეკემბრიდან 1919 წ. № 7480 გაუქმებულად ითვლება. 337 3—1

დაკარგულია პასპორტი, მიღებული ქ. ბაქოს მე-7 უბნის ბოქაულისგან ოჰანეზ სარქისიანცის სახელზე. მოწმობა გაუქმებულად ითვლება. 338 3—1

დაკარგულია რკინის გზის საბარგო კვიტანცია №№ 25604 და 25635 და სამი ვაგონინავთის კვიტანციები №№ 3217, 3218 და 8966, აღნიშნული კვიტანციები გაუქმებულად ჩაითვალოს. 327 3—1

ალექსანდრა გარდაფხაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქუთაისის წმინდა ნინოს გიმნაზიის 8 კლასის დამთავრების მოწმობა, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს.

ლავრენტი ტიმოთეს ძე ჭვანია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული 1915 წელს ნოემბრის 20 № 3216 ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარესაგან პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს.

319 3—3

არმენაკ გეორქის ძე ტერ-ჰაირაპეტიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 5612, აღებული ყოფილ პოლიცმეისტრი კანცელარიიდან 1913 წ. აგვისტოს 23. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს.

320 3—1

[illegible] ფოლადოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის საოლქო სასამართლოს მიერ დამტკიცებული აღმასრულებელი ფურცელი № 170065, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 324 3—1

სერგო მიტროფანეს ძე პაიჭაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე, რომელშიდაც იყო ფულად 280 მანეთი, პასპორტი და მეტრიკული მოწმობა, გაუქმებულად ჩაითვალოს. 325 3—1.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ხარიტონაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს.

326 3—1

ილია ვასილის ძე პოგარიოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მალხაზოვის აღმასრულებელ კომიტეტიდგან აღებული პასპორტი № 171, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს.

312 3—3

არტაშეს გრიგორის ძე კესაბაბოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 17325, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—3

ზაქარია დავითის ძე პაპოვი აცხადებს, რომ მან დაკარგა სახლის წიგნი, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 315 3—3

არონზა შაფათის ძე მოძღვარიშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა უვადო პასპორტი № 315, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 303 3—3

ნოე სტეფანეს ძე გურიელიძე აცხადებს, რომ მან დაკარგა ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის ბარათი № 332, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 305 3—3

სტუდენტი არჩილ ლეონტის ძე ხაჩიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა გორის გიმნაზიის ატესტატის შავი, აღებული 1917 წ. მაისის 1-ს № 462. ატესტატი გაუქმებულად ჩაითვალოს. 311 3—3

მარიამ თედორეს ასული ვოიცახოვსკაი აცხადებს, რომ მან დაკარგა სახლის წიგნი 1919 წლ., რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს.

313 3—2

დაკარგულია საზღვარ-გარეთის პასპორტი, აღებული საქ. რესპუბ. შინაგან საქმეთა სამინისტროდან 1919 წ. დეკემბრის 24-ს № 1928 ხორენ ავეტისის ძე ავეტისოვის სახელზე. პასპორტი გაუქმებულად ითვლება,

336 3—2

ალექსანდრე სიმონის ძე სემინგალოვი აცხადებს, რომ მან დაკარგა, პასპორტი თავისი, ელისაბედ ვასილის ასული სემინგალოვის, ნინო ალექსანდრეს ასული დიკოვის და ლიუბა ვასილის ასული ახუნდოვისა. ყველა აღნიშნული პირების დაკარგული პასპორტები გაუქმებულად ჩაითვალოს. 316 3—3

სოფიო კირაკოზის ასული საფაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახლის წიგნაკი, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 328 3—2

გრიგოლ იაკობის ძე კაკიაშვილი (კაკიანცი) აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი რომელიც გაუქმებულად ჩაითვლება. 331 3—2

სიმონ იურის ძე მინკინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ხარკოვის უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტის მოწმობა № 819 და ფულის შეტანის კვიტანცია, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 329. 3—2

ანასტასია ვასილის ასული კარამაევა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, მიღებული ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსისგან 1880 წ. მარტის 31-ს, რეესტრი 451. 306 3—3

ტროფიმე სიმონის ძე გერსამია ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიცემული მე-10 გუსარების ინგერმანლანდის ასეულის მე-6 ესკადრონის უფროსისგან წმ. გიორგის ჯვრების ოთხივე ხარისხის და 4 ხარისხის მედლის სატარებლად. ჩაითვალოს გაუქმებულად. 330 3-2

კარაპეტ სიმონის ძე ჯალაბიანცი აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული მოსკოვში სპარსეთის საკონსულოდან და მოწმობა მიღებული საქართველოში სომხების ეროვნულ საბჭოდან. აღნიშნული საბუთები გაუქმებულად ჩაითვალოს. 332 3-2

სავლე ლეონტის ძე იაკობაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა ჰიდრო მექანიკური ფაკულტეტისა, მიღებული ტფილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტიდან მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს ჩაითვა-

334 3—2

მამედ ალი ცეიფულლა-ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მე-5 უბნიდან. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს. 335 3—3

დაკარგულია ატესტატი, მიცემული ლანჩხუთის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლიდან ევგენი გიორგის ძე იმნაძის სახელზე № 210, ჩაითვალოს გაუქმებულად. 296 3—2

დაკარგულია ატესტატი, მიცემული ლანჩხუთის უმაღლეს პირველ დაწყებითი „სასწავლებლიდან 11 ივნისს 1912 წ. № 269 კოწია სიმონის ძე ცინცაძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 297 3—3

გრიგოლ იოსების ძე ბახტაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიიდან მიღებული იარაღის მოწმობა № 22392, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 3—2 (ყ)

ზაქარია ჭეჭინაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფილისის უფროსი ნოტარიუსის მიერ 23 დეკემბერს 1903 წ. № 3263, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 227 3-3

სახელოვნო-სალიტერატურო ყოველკვირეული ჟურნალი

## „თეატრი და ცხოვრება“

გამოდის ყოველ კვირა, დასურათებული. ფასი 10 მ. მისამართი: ტფილისი, ბაზრის ქ. № 28 რედ.-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი. 10—5

# მუშათა მაგიდა.

წინადადებას აძლევს მათ, ვისაც არ მიუღია შაქარი და ბრინჯი დეკემბრის ტალონებით, დააჩქარონ აღება ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებიდან 29 თებერვლამდე. ამის შემდეგ დეკემბრის ტალონებით ვეღარ მიიღებენ სურსათს.

1 მარტიდან დაიწყება ახალი რაციონების მიცემა იანვრის ტალონებით კოოპ. „ალორძინებას“, ქალაქის მოსამსახურეთა ეკონომიურ საზოგადოებიდან, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებიდან და ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებიდან. 240 1—1